



**ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება N246**

24 მარტი 2021 წ.

ქ. რუსთავი

„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში და რუსთავი-თბილისის მარშრუტზე M2 და M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის გაცემისათვის კონკურსის ჩატარებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ნიმუშის, უწყებრივი სანებართვო რეესტრის (ჟურნალის) ფორმისა და მისი შევსების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2014 წლის 10 თებერვლის N218 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში და რუსთავი-თბილისის მარშრუტზე M2 და M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის გაცემისათვის კონკურსის ჩატარებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ნიმუშის, უწყებრივი სანებართვო რეესტრის (ჟურნალის) ფორმისა და მისი შევსების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2014 წლის 10 თებერვლის N218 დადგენილების პირველი მუხლის „ა“ პუნქტით დამტკიცებულ დანართ №1-ში (www.matsne.gov.ge. 13/02/2014. ს/კ №310150000.35.160.016201) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ხელშეკრულების გაფორმების დღიდან, მაგრამ არაუგვიანეს 2022 წლის 1 აპრილისა, მომსახურების განხორციელება დაიწყოს და ნებართვის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში განაგრძოს მხოლოდ მისი საკონკურსო განცხადებით განსაზღვრული ტექნიკური მონაცემების ავტობუსებით; საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობის შენარჩუნების მიზნით, აუცილებლობის შემთხვევაში შეცვალოს ავტობუსი, მისი კატეგორიის, სახეობის, სტანდარტების, ამ წესის და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საკონკურსო განცხადებით განსაზღვრული ტექნიკური მონაცემების შეუცვლელად და ეს ცვლილებები დაუყოვნებლივ აცნობოს ნებართვის გამცემს.“

ბ) მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) კონკურსში გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმების დღიდან, მაგრამ არაუგვიანეს 2022 წლის 1 აპრილისა, ნებართვის მფლობელს დართოს უფლება მომსახურების განხორციელება დაიწყოს და ნებართვის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში განაგრძოს მხოლოდ მისი საკონკურსო განცხადებით განსაზღვრული ტექნიკური მონაცემების ავტობუსებით; საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობის შენარჩუნების მიზნით, აუცილებლობის შემთხვევაში შეცვალოს ავტობუსი, მისი კატეგორიის, სახეობის, სტანდარტების, ამ წესის და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საკონკურსო განცხადებით განსაზღვრული ტექნიკური მონაცემების შეუცვლელად, თუ განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით დაუყოვნებლივ აცნობებს ნებართვის გამცემს.“

მუხლი 2

ამ დადგენილების ძალაში შესვლიდან, ქვემოთ განსაზღვრულ ვადებში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიამ და ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანების განხორციელების ნებართვის მფლობელმა განახორციელოს შემდეგი მოქმედებები:

ა) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიამ ამ დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, 10 დღის ვადაში, უზრუნველყოს ადგილობრივ საქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანაზე (რუსთავი-თბილისის მარშრუტზე) ნებართვის მფლობელთან გაფორმებულ დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანა;

ბ) ნებართვის მფლობელმა ამ დადგენილების ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში განსაზღვროს და ნებართვის გამცემს წარუდგინოს ყოველდღიურად მარშრუტებზე მომუშავე და სარეზერვო ავტობუსების რაოდენობა, რომლის შემადგენლობაშიც გათვალისწინებული უნდა იქნეს, კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენამდე, შესაბამის მარშრუტებზე მომუშავე 2003 წლიდან გამოშვებული ავტობუსები, რომლებიც აკმაყოფილებენ საკონკურსო პირობებით განსაზღვრულ ტექნიკურ მოთხოვნებს.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ლევანი ონიანი